№ 0623-0841762 D 06.09.2023

შპს „ჭრელი აბანო“
ელ-ფოსტა: basilashvili.mariami98@gmail.com
ტელეფონი: 595 91 40 29

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN23-0837610; თარიღი 25/08/2023წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო აბანოს ქ. N2-ში ს/კ 01.18.04.019.013 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გოგირდის წყლის მილების გადაერთების საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: მთაწმინდა-კრწანისის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი თემურ წითლიძე. ტელ: 599 58 98 67.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)

ბენეფიციარი



საბანაკო გზა (ასფალტის)

ტროტუარი

ხის მასალისმფლობელი

საერთაშორისო გრავირდის ტიპის ნავთის მილის (დიამეტრით 7688 მმ/ან 1.0-1.5 ბარის მანომეტრებით) 65.38 კმ/ნაზორციელებული მიწის სამუშაოები 2023 წელს

პროექციის აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატების სისტემის UTM პროექცია

S.p.s. "kirkitaZe da kompania" (s/n4162940067)

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

kirkitadze@mail.ru

დირექტორი	რ. კირკიტაძე
ხელმძღვანელი	გ. მანიტაძე
დამკვეთი	ჯ. კვესიცია
	შპს "ჭიათურა ბანკი" შპს "ბანკმართ"

შენიშვნა:
1) ნაგებობა დატანილია ხელით რეზერვში რეგისტრირებული საკადასტრო სასაზღვრო
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწათსარგებლობის ობიექტები მაჟი მდებარეობების დაზუსტება მიახლოებით ყველა კოორდინატის წარმომადგენლებთან

მასშტაბი: 1:500

30.03.2021წ.

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-55218-23
08 / 09 / 2023

შპს ,,ჭრელი აბანო”-ს
წარმომადგენელს მარიამ ბასილაშვილს

ქალბატონო მარიამ,

თქვენი მიმდინარე წლის 29 აგვისტოს №02-13-55218-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაზსადენის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას მისამართზე ქალაქი თბილისი, აბანოს ქუჩა №2-ში (საკ. კოდი №01.18.04.019.013) გაცნობებთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გადის შპს „თბილისი ენერჯის“-ს კუთვნილი საჰაერო და მიწისქვეშა გაზსადენები. კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ დაგეგმილი სამუშაოები შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- საჰაერო მილსადენებთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.
- მიწისქვეშა გაზსადენების გადაკვეთის სამუშაოები უნდა განხორციელდეს სამშენებლო ნორმებისა და გაცემული ტექნიკური პირობის მოთხოვნების შესაბამისად. გაზსადენის მდებარეობის სიღრმე უნდა დადგინდეს შურფირების მეთოდით (ხელით სამუშაო).

დამატებით გაცნობებთ, რომ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია ეცნობოს შპს „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენელს (რობერტ ბექაური საკ. ტელ. 599 87 96 01; საბა აბუთიძე საკ. ტელ. 551 15 50 27).

დანართი: გაზსადენის გადაკვეთის ტექნიკური პირობა- 1 ცალი (2 ფურცლად);
შეთანხმებული პროექტი-1 (ერთი) ცალი;
სქემატური ნახაზი - 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:600
D= 100
D= 150
ჩ
დ
ა
ს
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯის" საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.18.04.019.013
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

შპს „თბილისი ენერჯი“

გაზსადენის გადაკვეთის ტექნიკური პირობა

მოქმედების ვადა: 6 თვე გაცემის დღიდან

ქ. თბილისი 07.09.2023 წელი

ეძლევა შპს ,,ჭრელ აბანო“-ს 2023 წლის 29 აგვისტოს №02-13-55218-23 წერილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, მშენებარე წყალსადენის ქსელით გაზსადენის გადაკვეთას მისამართზე: ქ. თბილისი, აბანოს ქუჩა №2-ში (ს/კ: N01.18.04.019.013).

შპს „თბილისი ენერჯი“ არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს გაზსადენის გადაკვეთის სამუშაოები სამშენებლო ნორმებისა და ქვემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით:

1. წყალსადენის სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის №101 დადგენილებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ და სამშენებლო ნორმები და წესების (2.04.08-87*-გაზმომარაგება) მოთხოვნები;
2. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტექნიკური პირობის მიმღებმა ან/და მშენებელმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს შპს „თბილისი ენერჯის“, რათა გამოყოს წარმომადგენელი (ზედამხედველი), რომელიც გადაკვეთის სამუშაოებს გაუწევს ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში გასცემს შესაბამის ინსტრუქციებს;
3. სამუშაოების დაწყებამდე შპს „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენელთან ერთად უნდა დაიგეგმოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობა და შეფასდეს მოსალოდნელი რისკები. მშენებლობის პროცესში აუცილებელია შპს „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენლის წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოთა უსაფრთხო შესრულებას და გაზსადენის დაცვას დაზიანებისაგან;
4. გაზსადენის აღმოჩენის შემთხვევაში 2 (ორი) მეტრის რადიუსში მიწის სამუშაოები უნდა შესრულდეს მხოლოდ ხელით;
5. გაზსადენის გადაკვეთა უნდა განხორციელდეს ქვევიდან ან ზემოდან. სიოში დაშორებამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 0,2 მეტრისა. გაზსადენთან გადაკვეთის კუთხე უნდა იყოს 90^0 ან მასთან მიახლოებული;
6. მიწის სამუშაოების ჩატარებისას, მოქმედი გაზსადენის დაზიანების შემთხვევაში, ტექნიკური პირობის მიმღები და მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს შპს „თბილისი ენერჯის“ დაზიანების შესახებ და უზრუნველყოს დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;
7. სარტყამი მექანიზმებისა და მიწასათხრელი ტექნიკის მუშაობის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს გაზსადენის ფაქტობრივი ადგილმდებარეობა ხელსაწყოებით ან შურფების ხელით გათხრით. გრუნტის საფხვიერებლად სარტყამი მექანიზმების გამოყენება დასაშვებია გაზსადენიდან არანაკლებ 3 (სამი) მეტრის დაშორებით, ხოლო ვერტიკალური გადახრის უნარის მქონე სარტყამი და სხვა მექანიზმების - არანაკლებ 5 (ხუთი) მეტრის;

8. წყალსადენი მილის პარალელურად გაყვანის შემთხვევაში გაზსადენამდე მინიმალური მანძილი გეგმაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერთი) მეტრს;
9. მიწის სამუშაოების დაწყების დრო შპს „თბილისი ენერჯის“ უნდა ეცნობოს წინასწარ, არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე (რობერტ ბექაური საკ. ტელ. 599-87-96-01; საბა აბუთიძე საკ. ტელ. 551-15-50-27).
10. მომავალში შესრულებული სამუშაოების შედეგად გამოწვეულ ტექნიკურ ხარვეზებზე, ან/და შესაძლო ტექნიკურ პრობლემებზე, პასუხისმგებელია აღნიშნული ტექნიკური პირობის მიმღები ორგანიზაცია.

დამატებითი პირობები:

აღნიშნული ტექნიკური პირობის რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შპს „თბილისი ენერჯი“ იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმდინარე სამუშაოების შეჩერება და შესრულებული სამუშაოების დემონტაჟი.

გაზსადენის ზუსტი ტრაექტორია და განთავსების პარამეტრები შპს „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენლის მიერ დაზუსტდება სამუშაოების წარმოების ადგილზე მოსვლის დროს.

ვამტკიცებ:

შპს „თბილისი ენერჯის”

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში გ. თამაზაშვილი

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

	სამუშაოთა ჩამონათვალი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
	I რიგის სამუშაოები																															
I ეტაპი	მოსამზადებელი სამუშაოები	■	■	■																												
	II რიგის სამუშაოები																															
II ეტაპი	მიწის სამუშაოები - თხრილის მოწყობა				■	■	■	■																								
III ეტაპი	არსებული ქვაფენილის დროებითი აყრა მილების ჩაწყობა არსებული ქვაფენილის აღდგენა								■	■	■	■	■	■	■	■	■															
IV ეტაპი	არსებულ ოთხ 76 მმ დიამეტრის გოგირდის წყლის მილებთან ახალი მილების დაერთება																	■	■	■												
V ეტაპი	ახალი ოთხი 76მმ დიამეტრის წყლის მილის ხის გადასასვლელის ქვეშ მოწყობა																				■	■	■									
VI ეტაპი	ახალი ოთხი 76მმ დიამეტრის წყლის მილის თბოიზოლაციით შეფუთვა და დამაგრება																							■	■	■	■	■	■	■		
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები				■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■			
	ტერიტორიის დასუფთავება																														■	■

(სვეტები 1–31: თვე)



განივი ჭრილი 2-2



ტროტუარი
არსებული ტრავენტინის ფილა 5სმ
ქვიშა/ცემენტის მოჭიმვა 3,5-5სმ
ბალასტი 20 სმ
ქვიშა
თბოიზოლაცია
გოგირდის წყლის მილი D76მმ პოლივინილქლორიდი
თბოიზოლაცია
გოგირდის წყლის მილი D76მმ პოლივინილქლორიდი
გრუნტი

განივი ჭრილი 1-1



ასფალტი
ქვიშა/ცემენტის მოჭიმვა 3,5-5სმ
ბალასტი 20 სმ
ქვიშა
თბოიზოლაცია
გოგირდის წყლის მილი D76მმ პოლივინილქლორიდი
თბოიზოლაცია
გოგირდის წყლის მილი D76მმ პოლივინილქლორიდი
გრუნტი

შეთანხმებულია
შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-55218-23
07 09 2023 წ.

CAD style
construction
architecture
design

31.08.2023

N23-919/ზ.მ

შპს „ჭრელი აბანო“-ს წარმომადგენელს
ქ-ნ მარიამ ბასილაშვილს
ტელ: 595914029
ელ.ფოსტა: Basilashvili.mariami98@gmail.com

თქვენი 25.08.2023 წლის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისში, აბანოს ქუჩა №2-ში არსებული ნაკვეთის (ს/კ: 01.18.04019.013) მიმდებარედ გადის შპს „ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობა. (იხ. დანართი 1)

შპს “ახალი ქსელები’’ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ თანდართული პროექტით განსაზღვრული სამუშაოები იმ პირობით, რომ აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით და არ დაზიანდება ჩვენს კუთვნილებაში არსებული კომუნიკაციები.

ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება გეკისრებათ თქვენ.

ხაზობრივი ნაგებობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია თქვენს მიერ, სამუშაოების დაწყების წინ, მოხდეს ჩვენი კომპანიის წარმომადგენლის გამოძახება შემდეგ სატელეფონო ნომერზე : 11 00 00

იხ. დანართი: 1) სიტუაციური ნახაზი
2) ტექ. პირობასს

პატივისცემით,
დირექტორი / ი. ინჯია /

შემსრ: ზ. მაჭავარიანი
ტელ: 577 281 771

დანართი : #1

შ.პ.ს “ახალი ქსელები” თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1.
დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2.
დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3.
შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4.
შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5.
შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6.
წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შ.პ.ს “ახალი ქსელები”-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

7.
იმ შემთხვევაში, თუ შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:
დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შ.პ.ს “ახალი ქსელები”-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, (info@ak.ge) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით.



პირობითი ნიშნები

- % — არსებული სატ. საკანალიზაციო არხი
- ◉ არსებული სატელეკომუნიკაციო ჭა

მისამართი

ქ. თბილისი, აბანოს ქუჩა
№2-ის მიმდებარედ

შ.პ.ს „ახალი ქსელები"
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ: 11 00 00

საპრ. უფროსი		ნ. გელიაშვილი
შეადგინა		ზ. მაჭავარიანი

მუშა ნახაზი	დაკვათა	ფურცლები	გვ.
		1	1

საკომუნიკაციო ქსელის სქემა	თარიღი	მასშტაბი
	30.08.2023	1:600

№ 4706/24-8 "01" 09 2023

შპს „ჭრელი აბანოს“ წარმომადგენელს
ქალბატონ მარიამი ბასილაშვილს
საკონტაქტო ტელ: 595914029

ქალბატონო მარიამი,

თქვენგან შემოსული წერილის (№8/7789 - 29/08/2023) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული საპროექტო გენ-გეგმის ნახაზის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე (ს/კოდი: №01.18.04.019.013), გადის სს „სილქნეტის“ კუთვნილი მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც დატანილია თანდართულ CD-დისკზე SHAPE-ფაილის ფორმატით.

სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს თანდართული დანართი №1-ის სრული დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებლად გამოძახებული იქნას სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი. ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

ქ. თბილისი **შეთანხმება #** 2/7789 დანართი #1

30 / 08 2023წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- 200 მმ-მდე დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრისა **(იხ. ნახ. 4.1)**, ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე **(იხ. ნახ. 4.2)**.
- 200 მმ-ზე მეტი დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა საკაბელო ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა **(იხ. ნახ. 4.1)**, ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე **(იხ. ნახ. 4.2)**.
- გადაკვეთის ადგილებში წყალგაყვანილობის საპროექტო მილი აუცილებლად უნდა განთავსდეს სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ.
- სს“ სილქნეტი“-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ან სხვა ელემენტების მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში წყალგაყვანილობის მილის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო წყალგაყვანილობის მილის ზემოთ, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი, არანაკლებ 0,15 მ-ის დაშორებით **(იხ. ნახ. 4.2)**.
- სს „სილქნეტი“-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში გათხრითი სამუშაოები შესრულდეს ხელით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს სს „სილქნეტი“-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, თუ სს “სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

  ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

  ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრების მეშვეობით.



ნახ. 4.1



ნახ. 4.2

გენგეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ხის ღობე	წყალგაყვანილობა
არასაცხ. შენობა	ღობე	გაზი
ფარდული	ქვის კედელი	კანალიზაცია
მშენებარე შენობა	კედელი	სანიაღვრე
წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე	ფლატე	კავშირგაბმულობა
ხილკენკროვანი	რკინიგზა	ელ. ქსელები
მცენარე გარე განათება	სამეთვალყურეო ჭები	გათბობა
	ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა:1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები

2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

S.p.s. "kirkitaZe da kompania" (s/n4162940067)

pekinis q. #27/10 t: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, faqsi: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

www. kirkitadze.ge kirkitadze@mail.ru

დირექტორი:	რ. კირკიტაძე
აზომა:	გ. მანიტაძე
დახაზა:	მ. კვეკვეცია
დამკვეთი	შპს "ჭრელი აბანო" შპს "ბახმარო"
მასშტაბი: 1:500	30.03.2021წ.

ორთო ფოტო
2020წ.



ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. №1 და №3-ის მიმდებარედ

მასშტაბი: 1:1,500

საპროექტო გოგირდის ოთხ წყლის მილი (დიამეტრით 76მმ წნევა 1.0-1.5 ბარი თვითდინებით) **65.3მ**
რომელიც უნდა დაუერთდეს არსებულ გოგირდის წყლის 4 მილს (176.3მ).
განსახორციელებელი მიწის სამუშაოები 2023 წელს

სიტუაციური ნახაზი



სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება საკადასტრო კოლის გამომე

ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. №1 და №3-ის მიმდებარედ

მასშტაბი: 1:1,500

საპროექტო გოგირდის ოთხ წყლის მილი (დიამეტრით 768მ წნევა 1.0-1.5 ბარი თვითდინებით) **65.3მ**
რომელიც უნდა დაუერთდეს არსებულ გოგირდის წყლის 4 მილს (176.3მ).
განსახორციელებელი მიწის სამუშაოები 2023 წელს

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი

